

**მადლიერი ქართველი ხალხი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს თავისი დიდი წინაპრის დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავს**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 თებერვალი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 27 (9946) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## დღეს

**14 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში, ჩატარდება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობის ბოლო ტური, რომელიც ეძღვნება დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავს.**

მეტოქე წყვილებია: ზემო ხანდაკი (კასპის რაიონი) — ქორდა (გორის რაიონი); ოძისი (დუშეთის რაიონი) — საქობო (სიღნაღის რაიონი); გავაზი (ყვარლის რაიონი) — სალხინო (ვანის რაიონი).

●

**დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საყოველთაო-სახალხო ზეიმს რესპუბლიკაში ყველგან დაამშვენებს სპორტული ღონისძიებები.**

სსრ კავშირი — კანადა

# „მოგზაურობა დედამიწიდან მარსამდე“

**უკვე** მეოთხე დღეა, რაც რუსთავში, მთელი დღის განმავლობაში ისმის მხიარული შეძახილები სპორტული მოედნებიდან, სკვერებიდან, ეზოებიდან. დიდი და პატარა ვარჯიშითაა გატაცებული. მათ რიცხვს შეუერთდნენ ისინიც, ვინც გუშინ მხოლოდ მაყურებელი იყო. იმატა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობამ, ეს ნათლად დაამტკიცა მასობრივმა გარბენმაც, რომელიც მოეწყო ლენინის მოედნიდან სტადიონამდე — მასში ხუთასამდე კაცი მონაწილეობდა. ეს იყო საღამოს ხუთ საათზე, მანამდე კი სპორტის მოყვარულებს ქალაქის თითქმის ყველა მოედანი მასპინძლობდა. მოვარჯიშეთა უმეტესობას მოსწავლეები შეადგენენ. როგორც საბინაო-კომუნალური მეურნეობის ტრესტის ფიზკულტურის უფროსმა მეთოდისტმა ელიზბარ გვარამაძემ გვითხრა, კვირეულის ჩატარება ორ ცვლად გადაუწყვეტიათ (მოსწავლეთა ორცვლიანი სწავლების გამო) 11-დან 13-მდე და 15-დან 17 საათამდე. მეტი ყურადღება მათ ეთმობათ, ვინც ადრე საერთოდ არ იყო სპორტში ჩაბმული. ეს ორგანიზატორთა მთავარი მიზანია.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები გრძელდება. ზემოაღნიშნული გარბენის დამთავრებისთანავე მონაწილეთა ერთი ჯგუფი სტადიონის სათადარიგო მოედანზე რეგბის მატჩში შეერკინა ერთმანეთს. შეხვედრა, სამწუხაროდ, რეგბის ბურთის უქონლობის გამო ფეხბურთის ბურთით ჩატარდა.

დღის წესრიგში კვლავ არის სიმძიმეების აწევა, კალათბურთი, „მრგვალი ვირი“, მინი-ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხოლო თოკჩაბმული ძრავაგამორთული ავტობუსის აღმართზე აყვანას სპორტის სახეობას ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ, თუმცა ძალის გამოვლენის საკმაოდ კარგი საშუალებაა.



**გოჩა ხომასურიძე** — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სანტექნიკური მოწყობილობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: ასეთი ღონისძიებები უფრო ხშირად უნდა გაიმართოს, დიდი ხანია, რაც სპორტს თავი დავანებე (ფეხბურთს ვთამაშობდი და, არც თუ ურიგოდ), მაგრამ ახლა კვლავ ვიგრძენი ის სიძლიერე, სიმსუბუქე და ენერგიის მოზღვავება, რომელიც ვარჯიშის შემდეგ ეუფლება ადამიანს, ამ კვირის განმავლობაში მთელ თავისუფალ დროს სპორტულ მოედანზე გავატარებ და შემდეგაც სათანადო დროს დავუთმობ ფიზკულტურას. ამასვე ვურჩევ ყველას, ვინც უკვე „გემო გაუსინჯა“ მოძრაობით მონიჭებულ სიხარულს.

**გოჩა კავილაძე,**
**თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი.**






სურათებზე: ღონისძიებისადმი მიძღვნილი პლაკატები; მასობრივი გარბენი.

სპორტი უმაღლეს სასწავლებლებში

# უნივერსიტეტელები გადიან სათხილამურო ტრასებზე

**ხვალ** ბაკურიანში დაიწყება ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში. პროგრამაშია გიგანტური სლალომი, სლალომი და სუპერგიგანტი. ამ შეჯიბრებაში ცალკე გუნდად მონაწილეობის სურვილი გამოთქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრებმა. ამის შესახებ რედაქციას აცნობა უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ვახტანგ გოგუაძემ.

გუშინ რედაქციაში მოვიწვიეთ უნივერსიტეტის სამთო-მოთხილამურეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი **რეზო ჯაფარიძე.**

● **დიდი ხნის წინათ თქვენი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ხშირად მონაწილეობდნენ მოთხილამურეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლა ტრადიციის აღდგენას ეყრება საფუძველი. პირველი ნაბიჯის გადადგმა, გვჯერა, ადვილი არ იქნებოდა, ვის გაუჩნდა ტრადიციის აღდგენის იდეა?**

— ჩვენს უნივერსიტეტში ბოლო ხანებში სერიოზულად იკიდებიან ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხს. მე სხვა ღონისძიებებზე არ შევჩერდები. სამთო მოთხილამურეთა შეჯიბრებებში ჩვენი სტუდენტების მონაწილეობის იდეა პირველებმა პრორექტორმა ვახტანგ გოგუაძემ და სპორტკლუბის თავმჯდომარემ პროფესორმა ოთარ მიმინოშვილმა წამოაყენეს. და აი, ახლა პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა. მომავალში ვაპირებთ სათხილამურო სპორტში შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია და სამედიცინო ინსტიტუტი. იქ ზამთრის სახეობების ბევრი მოყვარულია როგორც სტუდენტებში, ისე პროფესორ-მასწავლებელთა შორის.

● **თქვენი გუნდი ცალკე გამოვა ზემოხსენებულ შეჯიბრებაში, ცხადია, ეს მისასალმებელია, მაგრამ გუნდში თუ გეყოლებათ ისეთი მონაწილე, რომელიც ასაკის შესაბამისად, როგორც ახალგაზრდული თამაშების რესპუბლიკური ნაკრები გუნდის წევრი იასპარეზებს?**

— დიახ, გუნდში ასეთი ოთხი სპორტსმენი გვყავს — ეკა უშხვანი, ეკა ედიშერაშვილი, ლეილა ზერეკიძე და ვლადიმერ ანთაძე.

● **სულ გუნდში რამდენი მონაწილე გეყოლებათ?**

— ბაკურიანის ტრასებზე საერთოდ ჩვენი 8 სტუდენტი გამოვა. ბარემ დანარჩენებსაც დაგისახელებთ, ესენი არიან: გია ორჯონიკიძე, გიორგი ხაზარაძე, გიორგი გაჩეჩილაძე და გიორგი ამირანაშვილი.

● **რაკი ტრადიციის აღდგენის გზას დაადექით, ალბათ მომავალი გეგმებიც გაქვთ...**

— ჩვენი ამოცანაა მომავალში საკავშირო სარბიელზეც გავიდეთ. რაღა დაგიმალოთ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გვაქვს პროგრამა მაქსიმუმიც — საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობა, პირველ ყოვლისა კი, მსოფლიო უნივერსიადაში მონაწილეობა.

● **წარმატებას გისურვებთ.**

— გმადლობთ!

ტურნირის ექო

# რინგი ყოველმხრივ მომზადებულთ „სწყალობს“

ეს წერილი ყირგიზეთის დედაქალაქის რინგზე ამ დღეებში დამთავრებული 55-ე საკავშირო ჩემპიონატის ცხელ კვალზე იწერება. ამდენად, ზოგიერთი დასკვნამოსაზრება შეიძლება ნაჩქარევი და ემოციის შედეგიც იყოს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ფრუნზეს სარბიელზე საქართველოს მოკრივეთა ასეთი უღიმღამო გამოსვლის გამო ახლავე გვმართებს განგაშის ატეხა, რადგან „ჭირი დანახული სჯობს დაფარულს“...

თუ დავხედავთ ჩვენში სპორტის ამ სახეობის მდგომარეობის ამსახველ მრუდს, განსაკუთრებით ბოლო დროისას, დავინახავთ, რომ იგი საკმარისად ცვალებადია: აღმასვლას, რაც ორიოდე წლის წინათ საკავშირო ჩემპიონატებზე გვქონდა, საკმაო დაქვეითება მოჰყვება.

თუმცა შეიძლება ბევრი შემოგვედავოს რა დაქვეითებასა და ჩამორჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საკავშირო შეჯიბრება ისე არ ჩაივლის, რომ ჩვენი ჭაბუკები მედლებით მკერდდამშვენებულნი არ დაგვიბრუნდნენ, რასაც ასე გულმოდგინედ აუწყებს მკითხველებს თქვენი გაზეთიო... მართლაც, ვცდილობთ, უყურადღებოდ არ დაგვრჩეს ამა თუ იმ მასშტაბის საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში რესპუბლიკის წარმომადგენელთა არც ერთი წარმატება. მაგრამ, თუ დააკვირდებით, ეს გამარჯვებები მხოლოდ ჭაბუკთა რინგზეა მოპოვებული. რაც შეეხება მოზრდილებს, სხვადასხვა სინჯის მედლების მარაგი (7) თანდათან ხელში შემოგვადნა. ფრუნზეში ჩვენი რვა მოკრივე გამოდიოდა: თბილისელები — რუდიკ და ალბერტ კაზანჯიანები, ხვიჩა ხდრიანი, ნიკო სუხაშვილი, ფოთელი იური სავიჩევი, ქუთაისელი ემელიან ჯულუხიძე და ჭიათურელი ჯაბა ცუხიშვილი. მათგან მხოლოდ ალბერტ კაზანჯიანმა (57 კგ), იური სავიჩევმა (63,5 კგ) შეძლეს თითო ბრძოლის მოგება, დანარჩენები კი პირველივე წრის შემდეგ გამოეთიშნენ ასპარეზობას. ამგვარად, ვერავინ მიაღწია მეოთხედფინალამდე, სადაც, სულ ცოტა, ბრინჯაოს მედლებს დაისაკუთრებდნენ.

კრივის ქომაგები, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტს ელოდნენ პირველი სამეულისაგან, რადგან საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული ბოლოდროინდელი მედლები სწორედ მათზე მოდის. სსრ კავშირის პირველობა კულმინაციური შეჯიბრებაა, და იქ სპორტსმენი უნდა წარსდგეს სრულ საბრძოლო ფორმაში, რაც მარტო წვრთნით არ მოდის. სატურნირო ჩვევებისა და გამოცდილების აღდგენა-გასამდიდრებლად სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობაც არის საჭირო. ჩვენი ეს პირველი ნომერი მოკრივეები გამოსულან საკავშირო თასის გათამაშებასა და შეიარაღებულ ძალთა პირველობაში, რასაც შემდეგ საწვრთნელი შეკრებები მოსდევდა, მაგრამ, როგორც ფრუნზეს სარბიელმა ცხადყო, ეს საკმარისი არ ყოფილა — მათ აშკარად აკლდათ სატურნირო მომზადება ასეთი მასშტაბის ბრძოლებისათვის.

შეკრებაზე მწვრთნელებს არც თავიანთი შეგირდების მეტოქეების ინდივიდუალურ თვისებებზე გაუმახვილებიათ ყურადღება, რათა ამის მიხედვით რაიმე წინასწარ ჩაფიქრებული ტაქტიკა შეემუშავებინათ. სწორედ ამის გამო დაუთმო ხდრიანმა გამარჯვება მაჰმუდოვს, რომელიც წამის შესედვით ასწრებდა დარტყმას მეტოქეს, რასაც სამივე რაუნდის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხა თბილისელმა მოკრივემ. ამას გარდა, გაირკვა, რომ ხდრიანი ბოლო შვიდი თვის განმავლობაში ისე ინტენსიურად აღარ ვარჯიშობს, როგორც საკავშირო ნაკრების წევრს მოეთხოვება.

ალბათ გახსოვთ შარშანდელი პერიპეტიები, ოლიმპიურ თამაშებს წინ რომ უძღოდა, კერძოდ კი ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირის ბრძოლები, რომლის შედეგადაც განაწილდა სეულის ოლიმპიადის საგზურები. კერძოდ, გვინდა აღვნიშნოთ ნაკრებში მოხვედრის პრეტენდენტთა — ხ. ხდრიანისა და ა. არტიომოვის დავა, რომელიც ლენინგრადელმა თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ყველა ელოდა, რომ რ. კაზანჯიანი შეეცდებოდა მასთან შეხვედრაში ერთგვარი რევანშის აღებას, მაგრამ მან რინგზე ბრძოლის ნაცვლად სხვა, ცხოვრებისეული კონფლიქტი წამოიწყო, რასაც, ეტყობა, მთელი ძალა შეალია. მან მოინდომა თავისი მშობლიური საზოგადოების „შრომითი რეზერვების“ ფორმა არმიელის ფორმაში გადაეცვალა, ეს უფრო სარფიანად მიიჩნია, არმიელთა კლუბში კი თურმე მანქანასაც შეჰპირდნენ, ბოლოს, როგორც იქნა, დაარწმუნეს იგი, რომ მშობლიური კლუბი მეტ ყურადღებას იმსახურებს. ბოლოს და ბოლოს დაითანხმეს სპორტსმენი და იგი კვლავ თავის საზოგადოებაში დარჩა, მაგრამ გადაბირება-დაბრუნებამ წაიღო ძვირფასი დრო, რომელიც მას შეჯიბრებისათვის მოსამზადებლად უნდა გამოეყენებინა. შედეგმაც არ დააყოვნა. მისმა მეტოქემ არტიომოვმა კვლავ დაამტკიცა თავისი სიძლიერე ამ წონით კატეგორიაში და ისევ მოიპოვა ჩემპიონობა.

ასეთი კრახის შედეგად სამივე ჩვენი მოკრივე გამოყვანილია ქვეყნის ნაკრებიდან და არავინ უწყის, როდის შევავსებთ ამ დანაკლისს.

თუმცა, ერთი შეხედვით, ასეთი სასოწარკვეთის საფუძველი არ უნდა გვქონდეს, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, გვყავს რეზერვი იმ ჭაბუკთა სახით, რომლებიც იმარჯვებენ თანატოლთა სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებაში და, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, უფროსების ადგილი მათ უნდა დაიკავონ.

სამწუხაროდ, ჩვენში ასე არაა, რადგან ეს ახალგაზრდობა წმინდა მერკანტილური თვალსაზრისით უყურებს კრივს და თავის წარმატებებს. უმეტესობას ხელთათმანი სჭირდება მანამ, სანამ იგი გზას გაუკაფავს... უმაღლეს სასწავლებელში (სპორტსმენ აბიტურიენტთა სიებში მოხვედრას ვგულისხმობთ) და, როგორც კი ხელთ იგდებს სტუდენტობის, აღარც რინგი ახსოვს არც სასწავლებლის სპორტული ღირსება. არმიაში გაწვეულს კი კრივი სჭირდება სპორტსასეულში მოსახვედრად. წესით არმიელი მოკრივეები არ უნდა გვეკარგებოდეს, რადგან ისინი სპორტკლუბის სახელით იწყებენ გამოსვლას, ამდენად, მათ იქაც უნდა ჰქონდეთ წვრთნისა და შემდგომი დაოსტატების საშუალება. სამწუხაროდ, თბილისის არმიის სპორტკლუბში მათს სპორტულ ღირსებაზე ნაკლებად ფიქრობენ, ამიტომაც ჩვენი კლუბი არ ბწყინავს არმიელთა შეჯიბრებებში და იშვიათად, რომ რომელიმე ჩვენმა სპორტსმენმა შეიარაღებულ ძალთა ტურნირში გაიმარჯვოს.

თბილისის ასკ-ის მესვეურები არც იმ მხრივ იჩენენ გერგილიანობას, რომ კარგი, იმედის მომცემი მოკრივეები შეინარჩუნონ. ასე გაუშვეს მათ, მაგალითად, საკმაოდ ძლიერი ჭაბუკი მოკრივე დევდარიანი, რომელიც ამიერკავკასიის ოლქის ნაცვლად ბელორუსიაში გადის სავალდებულო სამსახურს.

ჩვენში კარგა ხანია არსებობს იმის პირობა და სახსრები, რომ ერთგვარი ცენტრალიზებული სახით, მთელი წლის განმავლობაში შეკრებაზე გვყავდეს მოკრივეები. მაგრამ ამისათვის მათი კვებით უზრუნველყოფა არ კმარა. საჭიროა საცხოვრებელი ბაზა, თავისი სარეაბილიტაციო საშუალებებით, საექიმო, საპროცედურო ოთახებითა და თანამედროვე სავარჯიშო იარაღე-



ბით. სამწუხაროდ, დღემდე ეს საკითხი ვერ გადაწყვეტილა. დავა კი მსგავსი ბაზის ასაშენებელი ადგილის გამოსაყოფად დღემდე გრძელდება თბილისის არქიტექტორსა და სპორტსაზოგადოებებს შორის, სხვათა შორის, სახალხო განათლების ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სკოლის დიდმის ბაზის პროექტი რამდენჯერმე იყო დამტკიცებული მთავარი არქიტექტორის მიერ და შემდეგ მის მიერვე უარყოფილი.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ, როგორც კი საქმე რომელიმე ობიექტის რეკონსტრუქციაზე მიდგება, პირველ ყოვლისა, რატომღაც კრივის დარბაზს ამოიღებენ ხოლმე მიზანში. ასე დაემართა, მაგალითად, სპორტკლუბ „სინათლის“ კრივის დარბაზს, სადაც არაერთი სპარტაკელი მოკრივე აღზრდილა. დღეს იგი გაუქმებულია სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა და, რაც მთავარია, იმ ოცამდე ჭაბუკისთვის, რომლებიც დიდი გატაცებით ეუფლებოდნენ აქ კრივს.

ანდა ავიღოთ „დინამოს“ დარბაზი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ემსახურა კრივის მოყვარულ ახალგაზრდებს, აქ დინამოელებთან ერთად სხვა საზოგადოების სპორტსმენებიც ეუფლებოდნენ ამ ვაჟკაცური სახეობის საიდუმლოებას. ამ დარბაზში საკავშირო პირველობებისა და თვით ევროპის ჩემპიონიც კი აღზრდილა. მაგრამ იმის გამო, რომ კრივი რატომღაც აღარ წარმოადგენს დინამოელთათვის საყრდენ სახეობას, რესპუბლიკურ საბჭოში ამ დარგის გაუქმებასთან ერთად გააუქმეს კრივის დარბაზიც, იქ ახლა მოფარიკავეები ვარჯიშობენ. კრივი კი მაინც სჭირდებათ თურმე ჩვენს დინამოელებს. ეს შარშან ლიპეცკში სპორტის დამსახურებულ ოსტატ ანდრეი ტიმოშინის საკავშირო ტურნირმაც დაამტკიცა, სადაც ჩვენი ქვეყნის 130-ზე მეტი ნორჩი დინამოელი იბრძოდა გამარჯვებისათვის, იქ „დინამოს“ სპორტსკოლების აღსაზრდელთა სახელით გამოდიოდნენ საქართველოს პროფკავშირთა ოლიმპიური რეზერვის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლისაგან (დირექტორი დ. ქავთარაძე, მწვრთნელი სპორტის ოსტატი ს. წინამძღვრიშვილი) „ნასესხები“ ჭაბუკები. თბილისელი მოკრივეები ცუდად არ გამოსულან. ა. კაზარიანმა (42 კგ), თ. მსტოიანმა (50), ა. კლუშნიჩენკომ (52) და ა. ვენეტიკიანმა მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს, ხოლო მათმა თანაკლუბელმა გ. ჩიქოვანმა ფინალამდეც კი მიაღწია და საპატიო მეორე ადგილზე გავიდა, ესე იგი... ამისათვის საკუთარი სექციისა და რაც მთავარია, დარბაზის ამოქმედებაა საჭირო.

კრივისადმი მეტი ყურადღება იმიტომაც გვმართებს, რომ მას ჩვენში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ამ თორმეტიოდე წლის წინათ ევროპის ჩემპიონის საპატიო სახელს დაეუფლა ქართველი მოკრივე დავით კვაჭაძე, რითაც ერთიორად გაიზარდა საქართველოში სპორტის ამ სახეობის პოპულარობა. გაჩნდა კრივის ცენტრები ისეთ ადგილებშიც, სადაც ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამ სახეობაზე. თბილისსა და ქუთაისს მხარში ამოუდგა ფოთი, ჭიათურა, ახალციხე და სხვა ქალაქები. ახლა რინგის ოსტატები მაღალმთიან მესტიაში — მულახსა და ჭვიბერშიც კი იზრდებიან. ამოქმედდა კრივის სექციები გურჯაანში, გორში. ასე რომ, რეზერვი არის, მხოლოდ საქმის თავმობმაა საჭირო, რომ საქართველოს წარმომადგენელთა ბრწყინვალე გამოსვლები დავიწყების ნისლში არ ჩაიძიროს. ამისათვის ერთიან, მიზანსწრაფულ მუშაობასთან ერთად კვალიფიციურ და პროფესიონალ მწვრთნელთა მოზიდვაცაა საჭირო, თორემ საკავშირო სარბიელზე ვერაფერს გავხდებით.

**უშანგ ჟიჟინაძე.**

---

# ბაკურიანი ინარჩუნებს ტრადიციას

**სათხილამურო** სპორტის სტაჟიან ქომაგებსაც კი აშკარად გაუჭირდებათ იმის გახსენება, თუ როდის იქცა ზამთრის ქართული კურორტი საბჭოთა სპორტსმენთა საერთაშორისო ასპარეზობაზე გასვლის წინ ერთგვარ სასტარტო მოედნად. ალბათ მაშინ, როცა ჩვენი მრბოლების დებიუტი შედგა დიდ სარბიელზე და იქიდან მოყოლებული ისინი სისტემატურად და უღალატოდ მისდევენ ამ ტრადიციას. უნდა ითქვას, რომ მათ არც თუ ცუდად აქვთ დაცდილი „თეთრ მარგალიტად“ წოდებული ბაკურიანის სავარჯიშო ტრასები, რომელთაც მოთხილამურეები ერთგვარ ღალას უხდიან — უამრავი ოქროვერცხლი ჩამოაქვთ უშელავათო ბრძოლებში გამარჯვების შედეგად.

ვფიქრობთ, ეს ტრადიცია არც ამჯერად, ფინეთის ქალაქ ლახტის ბილიკებზე მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე დაირღვევა, სადაც ჩვენს მოთხილამურეებს რამდენიმე სხვადასხვა სინჯის მედლების მოპოვება აქვთ დაგეგმილი. ამ დიდ სტარტებს, რომელიც ორიოდე კვირის შემდეგ დაიწყება, წინ უძღოდა ბაკურიანში გამართული სსრ კავშირის თასის გათამაშება და მას სხვა დანიშნულებაც ჰქონდა — დაესახელებინა სსრ კავშირის ნაკრების წევრები, ვისაც ლახტში ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა მიენდობა.

## სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო რგოლებში



15 კილომეტრზე ვაჟთა პაექრობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, რბოლას — ალმაათელმა დინამოელმა ვლადიმერ სმირნოვმა და კალგარის ოლიმპიადის ჩემპიონ მიხეილ დევიატიაროვს შორის გამართულმა ბრძოლამ შესძინა სიმძაფრე. ოლიმპიელი მხოლოდ 0,4 წამით ჩამორჩა მეტოქეს (გამარჯვებულის დროა 41.46.0), მაგრამ არც ახალგაზრდობას შეურცხვენია თავი. კერძოდ, მაგადანელმა ს. კიჩკინმა და ირკუტსკელმა მ. კოზლოვმა ტოლი არ დაუდეს და აჯობეს ისეთ გრანდებს, როგორებიც ნოვოსიბირსკელი ა. გოლუბევი და ვლადიმირელი ა. პროკუროროვია და მათზე წინა საფეხურებზე განლაგდნენ.

აი, ქალთა დავაში კი ახალი სახელები 10 კილომეტრიან რბოლას არ გამოუვლენია და ნაკრების 9 წევრიდან — 8 პირველ ათეულში დამკვიდრდა.

კვლავ ქალთა სათხილამურო ცენტრის იჟევსკის წარმომადგენელმა ტ. ტიხონოვამ აჯობა ყველას (31.13,1), მომდევნო ადგილებზე არიან ლენინგრადელი ნ. გავრილიუკი (31.18,6) და მაგადანელი ე. ვიალბე (31.26,0).

ქალთა სიურპრიზი ბოლო დღისათვის გადაიდო, როცა ისინი ამავე მანძილზე კლასიკური სტილის რბოლაში სცდიდნენ ძალას. აქ თავისი სიტყვა თქვა სიქტივკარელმა ვეტერანმა რაისა სმეტანინამ, რომელმაც გაიმარჯვა შედეგით 30.57,7, მაგრამ მომდევნო ადგილი არავის დაუთმო 20 წლის მოსკოველმა მრბოლმა ტატიანა ბონდარევამ (30.59,8), რომელმაც ვერცხლის მედალთან ერთად ქვეყნის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. „ბრინჯაო“ წილად ხვდა კალგარის ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. ვენცენეს (31.04,8).

15 კილომეტრიან ვაჟთა რბოლაში კი ალმაათელმა ვლადიმირ სმირნოვმა აჯობა ყველას (41.04,0), შემდეგ მოდიან მ. დევიატიაროვი (41.12,7) და ს. კიჩკინი (41.47,0). ისინი ნაკრების სხვა წევრებთან ერთად გაემგზავრებიან ლახტის მსოფლიო ჩემპიონატზე.

# რა შეუძლია ენთუზიაზმს

**ქალაქ** არმავირში, გოგონათა ტრადიციულ საქალაქთაშორისო ტურნირზე ძიუდოში კარგად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — ახმეტის პროფკავშირთა ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელებმა. სულ ერთი წელია, რაც მათ საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გუგული აბრამიშვილი. და აი, პირველი შედეგებიც — ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 1975 წელს დაბადებულმა ქეთევან ბექიაშვილმა (45 კგ) ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და პირველი ადგილი მოიპოვა. მისი თანაგუნდელი მარინე თავბერიძე მესამე იყო 72 კგ წონით კატეგორიაში. ეკა უმცროსაშვილმა (61 კგ) შედარებით მოკრძალებული შედეგი აჩვენა — მეხუთე ადგილი დაიკავა.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**

---

**ტექნიკურმა რევოლუციამ ცხენს წაართვა ოდინდელი ფუნქცია და, რაც ყველაზე გულსატკენი იყო, უმადურად გარიყა იგი ცხოვრებიდან. ახლა ტექნიკურმა პროგრესმა თითქოს მოიბოდიშა ამ გონიერი არსების წინაშე — კონსტრუქტორებმა შექმნეს შესანიშნავი და კომფორტაბელური სპეციალური ხვტომიან ქანა, რომლითაც ცხენები გადაჰყავთ შეჯიბრების ადგილამდე. ეს უცხოური მანქანა პირველად მოსკოვში ოლიმპიადის დღეებში გამოჩნდა. ახლა მას სსრ კავშირშიც უშვებენ. ექვსი ასეთი მანქანიდან, რომელიც პირველად გამოვიდა კონვეიერიდან, ერთ-ერთი ახლახან რესპუბლიკის სპორტსახკომმა თავის საცხენოსნო ბაზისთვის შეიძინა. ეს მანქანა უკვე თბილისში, იპოდრომზეა.**



დევიდ მილერი:

# დარწმუნებული ვარ დიდი „დუელი" გაგრძელდება

— **მსოფლიოს** ორი საუკეთესო მძიმე წონის მოჭიდავის — ბრიუს ბაუმგარტნერისა და დავით გობეჯიშვილის ყოველი ორთაბრძოლა პატარა სპექტაკლია, რომელსაც სასიამოვნო მღელვარება მოაქვს სპორტის ნამდვილი მოყვარულებისათვის, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა დევიდ მილერმა, — მათი დავა საერთაშორისო ასპარეზზე გახდა ყველაზე აღსანიშნავი მოვლენა ჩვენს სახეობაში.

უკანასკნელად ეს ორი დიდი ოსტატი ერთმანეთს შეხვდა სეულის ოლიმპიურ ხალიჩაზე. ბაუმგარტნერი იქ ჩამოვიდა წინა ოლიმპიადის გამარჯვებულის რანგში და არ ფარავდა თავის განზრახვას შეენარჩუნებინა საპატიო სპორტული ტიტული, მაგრამ ამაში მას ხელი შეუშალა გობეჯიშვილმა. ფინალურ შეხვედრაში საბჭოთა მოჭიდავემ კლასით დაჯაბნა ძველი მეტოქე და დამსახურებულად მოიპოვა უმაღლესი ოლიმპიური ჯილდო.

— თქვენი ათლეტის გამარჯვება დამაჯერებელი იყო, — თქვა შემდეგ დ. მილერმა. — გობეჯიშვილმა ჩინებულად განვლო მთელი ტურნირი, იგი იოლად ამარცხებდა მეტოქეებს და გადამწყვეტ ორთაბრძოლაშიც, რომელიც ასპარეზობის მშვენება გახდა, ბრიუსთან შედარებით უფრო ცოცხლად გამოიყურებოდა, პირველი წარმატებული ილეთის შემდეგ კი, — უფრო გულდაჯერებულადაც.

როგორც დ. მილერი თვლის, ბაუმგარტნერმა დაუშვა სერიოზული შეცდომა ასპარეზობისათვის მზადების დროს:

— იგი განეწყო ასლან ხადარცევთან — უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა ნაკრები გუნდის ნომერ პირველ მოჭიდავესთან შეხვედრისათვის. მას მრავალი ჩვენი სპეციალისტიც ეთანხმებოდა. მაგრამ სეულში გობეჯიშვილის გამოჩენამ ჩვენს მოჭიდავეს მთელი გეგმები აურია. ამასთან, გობეჯიშვილი ჩინებულად აღმოჩნდა მომზადებული ამ ასპარეზობისათვის, და ბევრი თანაბარი კომპონენტის პირობებში იგი სჯობნიდა ჩვენს ათლეტს მანევრულობით, ყოველთვის ასწრებდა მის მოქმედებას.

შეეხო რა ქართველი მოჭიდავის ღირსებებს, დევიდ მილერმა განსაკუთრებით აღნიშნა:

— თითქმის ორი მეტრი სიმაღლის გობეჯიშვილი ძალზე მოძრავი და სწრაფია, აქვს ჩინებული რეაქცია და მოქნილობა. მძიმე წონის მოჭიდავისათვის შედარებით მცირე მასის სპორტსმენი დაჯილდოებულია ჩინებული ფიზიკური მონაცემებით. ღონიერი ხელები მას ძალზე საშიშს ხდის ახლო ორთაბრძოლაში.

ამასთან, დ. მილერი არ მალავს, რომ მისი სიმპათიები ბაუმგარტნერს ეკუთვნის და იგი ძალზე გააწბილა მისი თანამემამულის დამარცხებამ ოლიმპიადაზე:

— ბრიუსი შესანიშნავი ჭაბუკი, თავმდაბალი და კეთილმოსურნეა, რაც საერთოდ ახასიათებს ფიზიკურად ძლიერ ადამიანებს. იგი ფანატიკურად შრომისმოყვარე და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნია. სეულში განცდილი მარცხიც ვაჟკაცურად გადაიტანა. ახლა უფრო დიდი გულმოდგინებით შეუდგა ვარჯიშს და არ აპირებს დატოვოს აქტიური სპორტი.



ვფიქრობ, რომ მას შეუძლია გამოვიდეს ბარსელონაში 1992 წლის ოლიმპიურ ასპარეზობაზე. იგი ხომ 28 წლის არის — ეს მოჭიდავისათვის „სიმწიფის" ხანაა. მომავალ ოლიმპიურ ასპარეზობამდე კი, უეჭველად, გაგრძელდება მისი მრავალი წლის „დუელი" დავით გობეჯიშვილთან, რომელიც ბრიუსზე სამი წლით უმცროსია. დარწმუნებული ვარ, რომ მათი შემდგომი მეტოქეობა უმაღლეს დონეზე ბევრ სასიამოვნო წუთს განაცდევინებს თავისუფალი ჭიდაობის მოყვარულებს. ვფიქრობ, რომ ეს ორივე მოჭიდავე დიდი სპორტსმენია.

დ. მილერის აზრით, უახლოეს წლებში საერთაშორისო ასპარეზზე ტონის მიმცემნი კვლავ ამერიკელი და საბჭოთა მოჭიდავეები იქნებიან.

— ვამტკიცებ რა ამას, ვითვალისწინებ ამერიკული და საბჭოთა ჭიდაობის სკოლების დიდ ტრადიციებსა და ავტორიტეტს. საერთაშორისო ფედერაციის მიერ სეულის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მიღებული ახალი წესები კი, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვაძლევს ხელს, — თქვა მან.

დ. მილერი გულისხმობს ორთაბრძოლათა დროის ხუთ წუთამდე შემცირებას და ამ ორთაბრძოლების შეუსვენებლივ გამართვას, რაც ჭიდაობას კიდევ უფრო მიმზიდველსა და დინამიკურს გახდის:

— ახლა ხალიჩაზე უპირატესობა ექნებათ იმ მოჭიდავეებს, რომლებიც გამოიმუშავებენ ჩქაროსნულ ამტანობას, ექნებათ დიდი ტექნიკა და უნარიანად წარმართავენ ორთაბრძოლას, ასეთი სწრაფი ორთაბრძოლების დროს ერთ-ერთი მთავარი კოზირი იქნება ათლეტის აზროვნების სისწრაფეც. როგორც ვფიქრობ, ყოველივე ეს ახასიათებთ ამერიკელებს. ალბათ, ეს თვისებები არც საბჭოთა მოჭიდავეებისათვის არის უცხო. თქვენი სპორტსმენებიც ხომ ტექნიკური და ეფექტიანი ჭიდაობის მიმდევრები არიან.

როგორც დევიდ მილერმა თქვა, უკანასკნელი წლების განმავლობაში თავისუფალი ჭიდაობა უფრო პოპულარული გახდა ამერიკელ ახალგაზრდობას შორის.

— თუმცა, ჩვენ ვერასდროს ვერ გავუწევთ პოპულარობაში კონკურენციას ამერიკულ ფეხბურთს, ბეისბოლს, კალათბურთს. ტელევიზია და გაზეთებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სპორტის ამ სახეობას. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც შევძელით გარკვეული წარმატებების მოპოვება. ჩვენი ფედერაციის თანამშრომლებმა უკვე შეძლეს დაემყარებინათ კავშირ-ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, მოეწყოთ თავისუფალი ჭიდაობისადმი მიძღვნილი რამდენიმე ტელეგადაცემა. ახლა ჩვენი ფედერაცია მილიონზე მეტ სპორტსმენს აერთიანებს. პირველხარისხოვანი ცენტრები შეიქმნა აიოვის, მიჩიგანის, ილინოისის, ვისკონსინის, მინესოტის შტატებში, ქალაქებში ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში.

ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მის ორგანიზაციაში დიდი ყურადღება ეპყრობა წარსულში ცნობილ მოჭიდავეებს, რომლებსაც მწვრთნელებად იწვევენ.

— მათი გამოცდილება და ცოდნა ძალზე საჭიროა ახალგაზრდა ათლეტებისათვის, — თქვა დ. მილერმა, — და ჩვენც არ ვაპირებთ დავკარგოთ საჭირო ადამიანები. მაგალითისათვის მოვიყვან ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის გამარჯვებულს დეივ შულცს. სეულის ასპარეზობის შემდეგ მან გადაწყვიტა წასულიყო აქტიური სპორტიდან, მაგრამ ჩვენ იგი ჭიდაობიდან არ გავუშვით. ახლა იგი ქვეყნის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელია. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდს ხელმძღვანელობს ერთი კაცი და არა მწვრთნელთა საბჭო, როგორც ეს წინათ იყო.

პერსპექტიულ მწვრთნელთა შორის დ. მილერმა ბრიუს ბაუმგარტნერიც დაასახელა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია წარმატებით უთავსებს ჭიდაობას და ახალგაზრდა მოჭიდავეებთან აღმზრდელობით მუშაობას პენსილვანიის კოლეჯში.

**ზ. შალოლაშვილი,**
**პ. ცინცაძე,**
**საქინფორმის კორ.**

## უცხოეთის სტადიონებზე

**მონტე-კარლო.** ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირს, თურქეთის „გალათასარაის" ფეხბურთელს ტანჟუ ჩოლაკს გადაეცა საგანგებო პრიზი „ოქროს ბუცი". შარშანდელ სეზონში მან მეტოქეთა კარში 39 ბურთი გაიტანა. ფეხბურთელს საპატიო პრიზი ჩააბარა წარსული წლების გამოჩენილმა ბომბარდირმა დასავლეთგერმანელმა გერდ მიულერმა.

ჰოლანდიელ ფეხბურთელს მარკო ვან ბასტენს ორი ჯილდო გადაეცა. „ფრანს ფუტბოლის" ტრადიციული გამოკითხვის შედეგად იგი 1988 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს, რისთვისაც „ოქროს ბურთით" დააჯილდოვეს. მარკო ვან ბასტენს გადასცეს კიდევ ერთი პრიზი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ყველაზე მეტი გატანილი ბურთისთვის (5).

**რომი.** იტალიის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ცნობილი გუნდები „ნაპოლი" და „სამპდორია". ნახევარფინალურ მატჩში „ნაპოლიმ" სანგარიშით 2:0 დაამარცხა „პიზა", ხოლო „სამპდორიამ" — „ატალანტა" — 3:2.



### განაჩენი გამოიტანეს

უნგრეთის ქალაქ დიერში დამთავრდა სასამართლო პროცესი იმ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფის მიმართ, რომელსაც ბრალად დაედო ე. წ. „მოლაპარაკებულ მატჩებში" მონაწილეობა.

სასამართლომ განიხილა პრესლერის, ჰანიხის (ნაკრების მოთამაშე), დობანის, ცნობილ მწვრთნელ კალმან მესეისა და პირველი ლიგის კლუბ „ზალაეგერსეგის" პრეზიდენტ სულიოკის საქმე, ერთმანეთს ხვდებოდნენ „დიერი" და „ზალაეგერსეგი" [illegible] კაპიტანმა [illegible] პრეზიდენტ სულიოკის და მწვრთნელ მესეის [illegible] მოთამაშეებს პრესლერს და ჰანიხს გადასცა 571 ათასი ფორინტი და მეტოქეებს დაათმობინა ორი ქულა.

პრეზიდენტ სულიოკს მიესაჯა ერთი წლის პატიმრობა, პრესლერს — 10 თვის, დობანის — 8 თვის, მესეისა და ჰანიხს — 8-8 თვის პატიმრობა. გარდა ამისა, მათ დიდი ფულადი თანხაც უნდა გადაიხადონ.

სასამართლო იძიებს კიდევ რამდენიმე „მოლაპარაკებული მატჩის" საქმეს, ინციდენტში ბევრი ცნობილი ფეხბურთელია გარეული.

### ნაკრების მოთამაშე — მესამე ლიგაში

**ფრანგი** თავდამსხმელი დიდიე სიქსი, რომელსაც არაერთი მატჩი აქვს ჩატარებული ეროვნულ ნაკრებში, სხვადასხვა დროს თამაშობდა გფრ-ის ბუნდესლიგაში, შემდეგ თურქეთის „გალათასარაიში". კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ სიქსი საფრანგეთში დაბრუნდა და გამოდის... მესამე დივიზიონის კლუბ „ვალურისში".

### ყველაზე უკეთ — ბაროში

იმ უცხოელ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც იტალიის ლიგაში პირველი წელია თამაშობენ, სპეციალისტების აზრით, ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი პორტუგალიელმა რუი ბარომ („იუვენტუსი"). საქმე მარტო 5 გატანილ ბურთში როდია. პორტუგალიელმა მალე აუღო ალღო ახალ პარტნიორებს და ლიგის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა.

### ტელეკომენტატორების როლში

ელკიაერ-ლარსენი და არნესენი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ დანიის ნაკრების წამყვან ფეხბურთელებად ითვლებოდნენ, ახლა ადგილობრივ გუნდებში თამაშობენ და ერთდროულად საფეხბურთო მატჩების ტელეკომენტატორებიც არიან.

## წოდების მინიჭება



ავთანდილ კოკაია



გურამ გაბისკირია



თამაზ ლაცაბიძე

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის წევრებს: ავთანდილ კოკაიას, თამაზ ლაცაბიძეს (ორივე — თბილისი) და გურამ გაბისკირიას (სოხუმი).

პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა ◀

# გამარჯვებული დღეს გამოვლინდება

**ფრენბურთელთა** ტურნირის მონაწილენი 4 ქვეჯგუფად დაიყვნენ და აქ გამარჯვებულნი I-IV ადგილებისათვის აგრძელებენ ბრძოლას. ცალკე ჯგუფი შექმნეს ქვეჯგუფებში II ადგილზე გასულმა კოლექტივებმა, რომლებმაც შემდგომ V-VIII ადგილები გაითამაშეს. საბოლოოდ, V ადგილზე გავიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, VI იყო თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი, VII — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. **სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი აღარ გამოცხადდა** შეჯიბრებაზე და წაგება ჩაეთვალა.

ფინალურ ეტაპზე კი პირველობისთვის იასპარეზებენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ფიზკულტურისა და თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები.

გადამწყვეტი შეხვედრები, რომლებიც გუშინწინ დაიწყო, დასრულდა ასეთი შედეგებით: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი 2:1, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2:0.

გუშინ ჩატარდა სხვა შეხვედრები: თბილისის უნივერსიტეტი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი 2:0. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 0:2.

ბოლო მატჩები დღეს გაიმართება და გამოვლინდება გამარჯვებული. მატჩები ჩატარდება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში (IX კორპუსი), დასაწყისი 11 საათზე.

**მერი დილმელაშვილი.**

სპორტი ყველასათვის ▶

# სარბიელზე—კულტურის მუშაკები

**თბილისის** სპორტის სასახლეში დაიწყო კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თბილისის ორგანიზაციების სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის სპორტული ორგანიზაციების სამმართველოს, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობის, კინოსტუდია ქართული ფილმის, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ტელერადიოკომიტეტის, კ. მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანებული პროფკომიტეტის, თბილისის სამხატვრო საწარმოო კომბინატის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, თეატრის ფონდის კომბინატის, წიგნის ფაბრიკის კოლექტივები.



სპარტაკიადის პროგრამაშია: მინიფეხბურთი, სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა (სპორტის სასახლე), ტყვიის სროლა („სინათლის" ტირი), მაგიდის ჩოგბურთი (საქართველოს სპორტსაჯკომის ბაზა), ცურვა (ვაკის აუზი), ფრენბურთი (ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზი), ველოსპორტი (ცენტრალური ველოდრომი), მძლეოსნობა (პროფკავშირების მანეჟი).

**მზია მებალიშვილი.**

სურათზე: მინიფეხბურთში კინოსტუდიისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე და სსრ კავშირის ჩემპიონატი**

# კანადური სისტემით თბილისის აუზში

**უკანასკნელ** წლებში წყალში მხტომელთა თბილისელი ქომაგები, შეიძლება ითქვას, დიდი შეჯიბრებების ხილვით განებივრებული არიან. თბილისმა უმასპინძლა საკავშირო თასის გათამაშებას, სსრ კავშირის ჩემპიონატსაც და ჩვენი ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა სამატჩო შეხვედრასაც, რაც ჩვენი სპორტსმენების წარმატებებმაც მნიშვნელოვნად განაპირობა. ეგ კია, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე საკავშირო შეჯიბრება აგერ უკვე ოთხი ათეული წელია არ ჩატარებულა თბილისში.

და აი, გუშინ ვაკის საცურაო აუზში დაიწყო საკავშირო შეჯიბრება „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე, რომლის პარალელურად სსრ კავშირის ჩემპიონატიც მიმდინარეობს.

დილით სარბიელზე გამოვიდნენ მეტრიანი ტრამპლინიდან მოასპარეზე ქალები. პირველობას 29 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს. ყველას აჯობა მოსკოველმა ტატიანა ვოლკოვამ (412,41), რომელმაც „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზი დაიმსახურა, მეორე იყო სვერდლოვსკელი ირინა ლაშკო (409,86), ხოლო მესამე — მოსკოველი მარინა ბობკოვა (409,74).

თბილისელმა დიანა მჭედლიძემ მერვე ადგილი დაიკავა (400,05). დანარჩენმა ჩვენმა სპორტსმენებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: XIX დიანა ლინჩუკი (337,19), XXI. ნანა ალავიძე (328,47), XXVI. ეკა ტაბატაძე (316,28).

გაზეთის პრიზზე შეჯიბრებაში გამოვლენილმა თორმეტმა საუკეთესო სპორტსმენმა გუშინ საღამოსვე საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გააგრძელა ასპარეზობა, რომელიც ეგრეთ წოდებული კანადური სისტემით ჩატარდა. თავდაპირველად ორ ჯგუფში გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები. დილის შეჯიბრებაზე მეხუთე-მეექვსე ადგილების მფლობელნი მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებზე გასულ სპორტსმენებს შეხვდნენ, ხოლო მეორე ჯგუფში მეშვიდე-მერვე ადგილებზე გასულნი მეცხრე-მეათე ადგილებზე გასულებს ეასპარეზებოდნენ. ორივე ჯგუფიდან ორ-ორმა უძლიერესმა სპორტსმენმა და დილის ასპარეზობაში ოთხმა საუკეთესო წყალში მხტომელმა ნახევარფინალში იმავე სისტემით გააგრძელა ბრძოლა. ამ შეხვედრაში ისინი მხოლოდ სავალდებულო ნახტომებით ასპარეზობდნენ, ბოლოს, ფინალურ პაექრობაში, სპორტსმენებმა ყველა ნახტომი — სავალდებულო და ნებისმიერიც — შეასრულეს.

— სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი პრინციპით შეჯიბრებები უკვე კარგა ხანია, რაც იმართება,— გვეუბნება ჩვენი ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელი იური კრუტოვი. — ასევე ტარდება მსოფლიო თასის გათამაშებაც. ამგვარად ჩატარებული ასპარეზობა მაყურებლისთვის უფრო საინტერესოა, რადგან გულშემატკივრები მხოლოდ უძლიერესთან პაექრობას უყურებენ.

ასე იყო თუ ისე, საღამოს, დაძაბულ ბრძოლებში, ჩემპიონის სახელი მოიპოვა მოსკოველმა ვერა ილინამ (467,40). მეორე იყო სვერდლოვსკელი ირინა ლაშკო (460,17), ხოლო მესამე — თბილისელი დიანა მჭედლიძე (448,92).

დღეს სარბიელზე გამოვლენ ვაჟები, რომლებიც 1-მეტრიანი ტრამპლინიდან იასპარეზებენ.

**ავთანდილ ბურახაშვილი.**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში**

# რთული გზის დასაწყისი

**როცა** ვამბობთ მარათონული ჩემპიონატიო, სწორედ ასეთი ტურნირი წარმოგვიდგენია. ყოველ შემთხვევაში, სპორტის არც ერთ სახეობაში არ გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი ამდენ ხანს. უმაღლესი ლიგის წყალბურთელებმა 3 თებერვალს დაიწყეს ბრძოლა ოქროს მედლებისათვის და დაამთავრებენ მხოლოდ დეკემბერში. ცხადია, ასეთი რთული დისტანციის გავლა ჩემპიონატის მონაწილეებს ბევრ პრობლემას შეუქმნის, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი, ალბათ, ფიზიკური მომზადება იქნება.

ჩემპიონატის მატჩებს გულმოდგინედ ადევნებს თვალს ნაკრები გუნდის ახალი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი მაიტ რიისმანი. მას, კლუბების მწვრთნელთა მსგავსად, საკმაოდ ბევრი საქმე აქვს, რაც, პირველ ყოვლისა, ნაკრების საკმაოდ გადატვირთული საერთაშორისო კალენდრითაა გამოწვეული, ახალ დამრიგებელს გადაწყვეტილი აქვს ნაკრების გაახალგაზრდავება შესაძლებლობის ფარგლებში და კანდიდატებსაც ეძებს.

რიისმანი ხარკოვის ტურის მატჩებს ესწრება და, როგორც ჩანს, არ შემცდარა, ყოველ შემთხვევაში აქ ბრძოლები უფრო დაძაბულად მიმდინარეობს. ოთხი ტურის შემდეგ თითო შეხვედრა ყველა გუნდმა წააგო, მაგრამ განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მოსკოვის დინამოელთა მარცხი სევასტოპოლელებთან. ამ ჯგუფში 3-3 მოგება და თითო დამარცხება აქვთ მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს, აგრეთვე სამხედრო მეზღვაურებს (ცსკ ვმფ).

გთავაზობთ ჯგუფში ჩატარებული ყველა შეხვედრის ანგარიშს: **3 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — კჩფ (სევასტოპოლი) 6:5, „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკ ვმფ 9:7, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — კკფ (ბაქო) 9:8; **4 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 10:14, ცსკ ვმფ — კკფ 12:7, კჩფ — „ლოკომოტივი“ 9:5; **5 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ 7:6, „დინამო“ (მოსკოვი) — კკფ 15:6, ცსკ ვმფ — კჩფ 16:10; **6 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — კკფ 7:6, კჩფ — „დინამო“ (მოსკოვი) 12:9, ცსკ ვმფ — „ლოკომოტივი“ 12:5.

**ხარკოვის ჯგუფი**

**მდგომარეობა 7 თებერვლისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (მოსკ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 47-35 | 6 |
| ცსკ ვმფ | 4 | 3 | 0 | 1 | 47-31 | 6 |
| „დინ.“ (თბ) | 4 | 3 | 0 | 1 | 30-31 | 6 |
| კჩფ (სევასტ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 36-36 | 4 |
| „ლოკ.“ (ხარკ) | 4 | 1 | 0 | 3 | 25-36 | 2 |
| კკფ (ბაქო) | 4 | 0 | 0 | 4 | 27-43 | 0 |

უდანაკარგოდ ჩემპიონატის სტარტი ვერც ალმა-ათის ჯგუფის გუნდებმა განვლეს. ადგილობრივ დინამოელებს, რომლებიც გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებიან, ხელი მოეცარათ მეოთხე წრეში მოსკოვის „ტორპედოსთან“ და ქულა დათმეს, მაგრამ უფრო დიდ გაკვირვებას იწვევს მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა წარუმატებელი სტარტი. ოთხი დღის შემდეგ ამ კოლექტივს უკვე ორი შეხვედრა აქვს წაგებული.

**3 თებერვალი.** „დინამო“ (ალმა-ათა) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 7:6, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ლვოვი) 11:11, „მოსკვიჩი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 6:6;



**4 თებერვალი.** უნივერსიტეტი — „ტორპედო“ 12:5, „დინამო“ (ლვოვი) — „მოსკვიჩი“ 9:7, „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (კიევი) 6:5; **5 თებერვალი.** „ტორპედო“ — „დინამო“ (ლვოვი) 12:8, „დინამო“ (კიევი) — „უნივერსიტეტი“ 10:10, „დინამო“ (ალმა-ათა) — „მოსკვიჩი“ 9:5; **6 თებერვალი.** „დინამო“ (ლვოვი) — უნივერსიტეტი 7:6, „დინამო“ (კიევი) — „მოსკვიჩი“ 8:6, „დინამო“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ 8:8.

**ალმა-ათის ჯგუფი**

**მდგომარეობა 7 თებერვლისათვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (ა-ათა) | 4 | 3 | 1 | 0 | 30-24 | 7 |
| „დინ.“ (ლვ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 35-36 | 5 |
| „დინ.“ (კიევი) | 4 | 1 | 2 | 1 | 34-33 | 4 |
| „ტორპ.“ (მოსკ.) | 4 | 1 | 2 | 1 | 31-34 | 4 |
| „უნივ.“ (მოსკ.) | 4 | 1 | 1 | 2 | 34-29 | 3 |
| „მოსკვიჩი“ | 4 | 0 | 1 | 3 | 24-32 | 1 |

# მიაგნებენ მოგების გზას?

**გუშინწინ** გვიან ღამით, ტალინს რომ დავუკავშირდით, ქეთევან კახიანის მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი იმ დღის გადადებულ პარტიას აანალიზებდა. საერთაშორისო ტურნირის XI ტურში კახიანი შავი ფიგურებით ხვდებოდა ტალინელ მონიკა ციგანოვას. ესპანურ პარტიაში უპირატესობას ციგანოვა დაეუფლა და ორი პაიკი მოუგო მეტოქეს. ჩვენს თანამემამულეს ერთობ მძიმე პოზიცია შეექმნა, მაგრამ იგი თავდადებით იბრძოდა, ერთი პაიკი დაიბრუნა და 6-საათიანი ბრძოლის შემდეგ მცირე უპირატესობაც კი მიიღო. თამაში 61-ე სვლაზე შეწყდა. აი, რა მდგომარეობაში გადაიდო პარტია (სვლა შავებმა ჩაიწერეს).

ქ. კახიანი



მ. ციგანოვა

როგორც ხედავთ, კახიანს პაიკი აკლია, მაგრამ სამაგიეროდ მისი ორივე პაიკი ლაზიერში გასვლას იმუქრება. გიორგი მაჭარაშვილიც მოგების გზებს ეძებდა. ვნახოთ, იპოვიან თუ არა ოსტატი და შეგირდი ამ გზას.

კახიანის მიერ პარტიის გადადებით ისარგებლა მისმა უშუალო „მდევარმა“ სვეტლანა პრუდნიკოვამ (სტავროპოლის ოლქი), რომელმაც იუგოსლავიელ ვესნა ბაშაგიჩს მოუგო და 8,5 ქულით სათავეში მოექცა სატურნირო ცხრილს. კახიანს 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. შემდეგ მოდიან ტატიანა ფომინა 6,5 (1), კაია იანისტე (ორივე — ტალინი), რიმა ბილუნოვა (მოსკოვი), ოტილია კანტი (რუმინეთი) — 6,5-6,5, ლეილი პიარნპუუ (ტალინი) — 6 (1).

**ჭადრაკი**

# რჩება 6 ტური

**ახალგაზრდა** ოსტატთა საკავშირო პირველობაზე ჭადრაკში გათამაშდა IX ტურის შეხვედრები. გია გიორგაძე შავი ფიგურებით ეთამაშებოდა ტალინელ საერთაშორისო ოსტატ ლემბიტ ოლს. რთულ საინტერესო ბრძოლაში წარიმართა პარტია, რომელიც გადაიდო. გიორგაძეს ზედმეტი ფიგურა აქვს.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: შიროვი-აკოფიანი — 1:0, ულიბინი-ნევეროვი — 0,5:0,5, რუბანი-როზენტალისი — 0,5:0,5, გადაიდო დაუტოვ-სერპერის, ტიმოშენკო-ეპიშინის, დრეევ-ანასტასიანისა და შაბალოვ-სავჩენკოს პარტიები.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ვალერი ნევეროვი (ლენინგრადი) — 6, რუსტემ დაუტოვი (მინსკი) — 5,5 (1), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) — 5,5, ლემბიტ ოლი (ტალინი) — 5 (1).

**თამარ ხუგაშვილი,**
საერთაშორისო ოსტატი.

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

# „ჟალგირისის“ ორი გამარჯვება

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**კაუნასი.** „სტროიტელთან“ კიევის „ჟალგირისის“ პირველი გამარჯვების შესახებ უკვე ვიუწყებოდით. ლიტველმა კალათბურთელებმა მეორე შეხვედრაც მოუგეს მეტოქეს — 103:93 (55:46). აღსანიშნავია, რომ უკრაინის გუნდი თავისი ძირითადი ცენტრალური თავდამსხმელების (ბელოსტენი და კოვტუნი) გარეშე თამაშობდა.

**მოსკოვი.** ადგილობრივმა „დინამომ“ სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი, მეთხუთმეტე გამარჯვება ჩაიწერა. ამჯერად მან რიგის ვეფ-ი დაამარცხა — 95:83 (45:44).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 7 თებერვლისათვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკ.) | 25 | 15 | 10 | 40 |
| ასკ (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| ცსკა | 19 | 15 | 4 | 34 |
| „კალევი“ (ტალ.) | 22 | 9 | 13 | 31 |
| „სტატიბა“ (ვილ.) | 20 | 10 | 10 | 30 |
| „დინამო“ (თბ.) | 22 | 8 | 14 | 30 |
| „ჟალგირისი“ (კაუ.) | 15 | 14 | 1 | 29 |
| „სტროიტელი“ (კ.) | 16 | 13 | 3 | 29 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 22 | 6 | 16 | 28 |
| ვეფ (რიგა) | 24 | 4 | 20 | 28 |
| რტი (მინსკი) | 19 | 8 | 11 | 27 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 20 | 6 | 14 | 26 |

**კალეიდოსკოპი**

## ფეხბურთი და მაყურებელი

**მსოფლიოს** XIV საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა სულ ახლახან გამოაქვეყნა პირველი საინფორმაციო ბიულეტენი. მასში მრავალი საყურადღებო მასალაა მოთავსებული, მაგრამ მაინც ყურადღებას იპყრობს ცნობა იმის თაობაზე, თუ რა ინტერესს იჩენენ ტელემაყურებლები ფეხბურთისა და ჩვენი ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანესი მოვლენების მიმართ.

ბიულეტენის ცნობით, უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის ფინალი 1985 წელს ნახა 350 მილიონმა მაყურებელმა; ადამიანის მთვარის ზედაპირზე გადმოსვლა 1969 წელს — 490 მილიონმა; 1984 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები — 522 მილიონმა (აღნიშნულია ისიც, რომ სეულის ოლიმპიურ თამაშებს მეტი ტელემაყურებელი ჰყავდა). მაგრამ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში 1986 წელს 652 მილიონი მაყურებელი ადევნებდა თვალს.

1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს, საორგანიზაციო კომიტეტის აზრით, ჩვენს პლანეტაზე უფრო მეტი მაყურებელი ეყოლება.

## იქნებ ერთი დღე დაუმატონ

მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები (შეჯიბრება ჩატარდება დორტმუნდში) შეშფოთებული არიან. ტურნირში მონაწილეობის სურვილს აცხადებს სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა — 800 მაგიდის ჩოგბურთელი.

ქალაქის სპორტის მესვეურებმა თხოვნით მიმართეს საერთაშორისო ფედერაციას, რათა ჩემპიონატი 29 მარტს კი არ დაიწყოს, არამედ ერთი დღით ადრე, ვინაიდან ტურნირისათვის განკუთვნილი დღეები, „13-საათიანი დატვირთვის“ შემთხვევაშიც კი არ ეყოფა 83 ქვეყნის სპორტსმენებს საასპარეზოდ.

## დივაჩი „ბარსელონაში“

**როგორც** იუგოსლავიის პრესა აღნიშნავს, ესპანეთის საკალათბურთო კლუბი „ბარსელონა“ დიდადაა დაინტერესებული ბელგრადის „პარტიზანის“ და იუგოსლავიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელის გლადო დივაჩის (212) შეძენით. ეს არცაა გასაკვირი. დივაჩი ძალზე ნიჭიერი და პერსპექტიული კალათბურთელია და ევროპაში საბონისთან ერთად ყველაზე კოლორიტული ფიგურაა ცენტრალურ თავდამსხმელებს შორის.

## ილინოისი და დუკე

**სწორედ** ამ ორი უნივერსიტეტის გუნდები ლიდერობენ აშშ-ს ჩემპიონატს სტუდენტებს (ნეკა) შორის. ორივე კლუბი ჯერჯერობით დაუმარცხებლად ასპარეზობს. ილინოისის უნივერსიტეტს 13 გამარჯვება აქვს, ხოლო დუკეს—12. მათ კვალდაკვალ მიჰყვება დიდი ჯგუფი, რაც სტუდენტთა ჩემპიონატისათვის ჩვეულ მწვავე კონკურენციაზე მიგვანიშნებს.

**სპორტპროგნოზი**

**06 ტირაჟის შედეგები**
**(4-5 თებერვალი)**

1—1, 2—1, 3—1, 4—2, 5—2, 6—1, 7—2, 8—1, 9—1, 10—1, 11—1, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ბაგაშეთის კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10850